მიხეილ ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ISSN 1512-1135, ტ. LXXIII, 2021
Transactions of Mikheil Nodia Institute of Geophysics, ISSN 1512-1135, vol. LXXIII, 2021
Труды Института геофизики им. Михаила Нодиа, ISSN 1512-1135, т. LXXIII, 2021

ნეკროლოგები

გიორგი ბერიშვილი (1958 – 2021)

2021 წლის 19 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწის ფიზიკის და გეომაგნეტიზმის სექტორის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი გიორგი (გია) ბერიშვილი. გია ბერიშვილი დაიბადა 1958 წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისში, ცნობილი სპეციალისტის დედამიწის მაგნეტიზმის დარგში გიორგი პავლეს ძე ბერიშვილის ოჯახში, რომელიც 1963-1974 წლებში მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. გია ბერიშვილმა 1980 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ფიზიკური ჰიდროდინამიკის სპეციალობით და იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა გეოფიზიკის ინსტიტუტის გეომაგნეტიზმის განყოფილებაში. ის სწავლობდა საქართველოს ტერიტორიის მუდმივ მაგნიტურ ველს, იკვლევდა გეომაგნიტური ველის წლიურ და ნახევარწლიურ ვარიაციებს, მონაწილეობდა მაგნიტო-საძიებო სამუშაოებში და დედამიწის მაგნიტური ველის ვარიაციების ლოკალური ანომალიების შესწავლაში. გ. ბერიშვილმა 2003 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მეტად დაბალი სიხშირის (მდს) ელექტრომაგნიტური გამოსხივება. ურეკის გეომაგნიტური ანომალიის ინტერპრეტაცია და გეომაგნიტური ფაქტორების შესაძლო გავლენა ადამიანზე“

გია ბერიშვილის სახელი მუდამ ემახსოვრებათ მის მეგობრებს და კოლეგებს.

ოფელია ლომაია (1932 – 2021)

2021 წლის 17 აპრილს გარდაიცვალა ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის თანამშრომელი 1959-2006 წლებში, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოფელია ვასილის ასული ლომაია. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. ხოლო 1966 წელს -ასპირანტურა. 1969 წელს მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ამიერკავკასიის ზოგიერთი რაიონების ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის გამოკვლევა“. გამოქვეყნებული აქვს 56 სამეცნიერო შრომა, რომლებიც ეხება ატმოსფეროს სასაზღვრო და მიწისპირა ფენების შესწავლას, ქალაქებში სმოგური სიტუაციების წარმოშობის მეტეოროლოგიური პროგნოზის, ცალკეულ მეტეროლოგიური პოტენციალის განსაზღვრას, თბილისში მიწისპირა ფენის მყარი აეროზოლების და ოზონის კონცენტრაციის მეტეოროლოგიურ პარამეტრებთან კავშირის გამოკვლევას და სხვ.

ოფელია ლომაია იყო ფრიად განათლებული ქალბატონი, წერდა ლექსებს, კარგად თამაშობდა ჭადრაკს. გეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივს მუდამ ემახსოვრებათ მშვენიერი ქალბატონი ოფა.